საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (20274) ✦ კვირა, 9 ოქტომბერი, 1988 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 6 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ხუთწლედის დავალებათა და შრომითი კოლექტივების წინადადებათა შესაბამისად შედგენილი გეგმის პროექტი ითვალისწინებს გაძლიერდეს ეკონომიკის სოციალური მიზანმიმართულება, გაიზარდოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა საწარმოო პოტენციალის უფრო სრული გამოყენების და აქტიური რესურსდამზოგავი საფუძველზე. მისი წარმატებული რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას და 1991-1995 წლების გეგმის ფორმირების პირობებს.

განხილვის პროცესში გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებანი, იმის თაობაზე, რომ დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გადაწყდეს სასურსათო საკითხი, კიდევ უფრო განვითარდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და საყოფაცხოვრებო მომსახურება, დაიხვეწოს კაპიტალური მშენებლობის საქმე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებას, ხარჯების შემცირებას სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდას, საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობის ზარალიანობის აღმოფხვრას.

პოლიტბიურომ ძირითადად მოიწონა 1989 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები და გასცა რეკომენდაცია განიხილონ და გაითვალისწინონ გამოთქმული შენიშვნები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტების დახვეწისას, სანამ მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანენ.

პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სტრატეგიის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კონცეფციის და 2000 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირის საექსპორტო ბაზის განვითარების პროგრამის პროექტებს, რომლებიც მთავრობამ შეიმუშავა.

დოკუმენტებში აისახა ახლებური მიდგომა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისადმი, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ამ ურთიერთობების როლის ზრდას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებაში, საბჭოთა კავშირის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის უფრო აქტიურ და ყოველმხრივ ჩაბმას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების იმ მოდელის დაჩქარებული ფორმირება, რომლის ორიენტირია გადასვლა ვაჭრობის ტრადიციული ფორმებიდან კოოპერაციისა და სპეციალიზაციის ბაზაზე დამყარებულ ღრმა და კომპლექსურ თანამშრომლობაზე მეცნიერებაში, ტექნიკასა და წარმოებაში, ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესება მზა ნაწარმის და, უწინარესად, მეცნიერებატევადი მანქანათსამშენებლო პროდუქციის წილის გაზრდის გზით.

გათვალისწინებულია კიდევ უფრო დაიხვეწოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამეურნეო მექანიზმი, რომელიც დაემყარება საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების მოქნილ შეხამებას საგარეო ბაზარზე საწარმოთა დამოუკიდებლობის შემდგომ გაფართოებასთან, მათ დაინტერესებას საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განვითარებით, მანეთის კონვერსიის ეტაპობრივი უზრუნველყოფით. პრიორიტეტულ განვითარებას პოვებს ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან და, უწინარესად, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საფუძველზე, რომელმაც სტიმული უნდა მიანიჭოს პროდუქციის მარტივი საქონელგაცვლიდან გადასვლას წარმოებასა და მეცნიერებაში კომპლექსურ სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, რომელიც დაემყარება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფართო გამოყენების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ბაზრის ფორმირების ბაზას. დასახულია ყოველი ღონისძიებით განვითარდეს თანამშრომლობის ახალი ფორმები — სსრ კავშირისა და მომმე ქვეყნების საწარმო-ორგანიზაციათა პირდაპირი ურთიერთობა, შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები.

მოწონებულია იმ საუბრების შედეგები, მ. ს. გორბაჩოვს რომ ჰქონდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ე. ჰონეკერთან, რომელიც სამუშაო ვიზიტად იყო სსრ კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. კმაყოფილებით დადასტურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის უცვლელი გადაწყვეტილება, განამტკიცონ და გააღრმაონ ორი ქვეყნის ხალხთა ნაყოფიერი ურთიერთობა სოციალიზმის წარმატებით განვითარების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრების საქმისათვის. მაღალი შეფასება მიეცა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის განვითარებას, ხაზგასმით აღინიშნა, რაოდენ საჭიროა თანამიმდევრულად და ენერგიულად განახორციელონ მორიგებანი ორი მოკავშირე ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამოქმედების ახალ თვისებრივ დონეზე ასაყვანად. ამასთან დაკავშირებით, შემუშავებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ყოველმხრივი თანამშრომლობის სრულყოფის კონკრეტული რეკომენდაციები.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს მოლაპარაკების შედეგები, რომელიც საბჭოთა დელეგაციას ჰქონდა მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანთან, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ნ. ჩაუშესკუსთან, როდესაც იგი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სსრ კავშირში.

აღინიშნა, რომ მოლაპარაკებამ დაადასტურა ორი პარტიისა და ქვეყნის მისწრაფება განამტკიცონ ორმხრივი მეგობრობა და თანამშრომლობა, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ინტეგრაციის გასაღრმავებლად, ადამიანთა ცოცხალი ურთიერთობის გასაფართოებლად, რაც შეესაბამება სსრ კავშირისა და რუმინეთის ხალხთა ინტერესებს, ხელს შეუწყობს მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების უფრო ეფექტიან გადაწყვეტას, სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის თანამოქმედების სრულყოფას საერთაშორისო საქმეებში, გაზრდის სოციალისტური ქვეყნების წვლილს თანამედროვეობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ძირეული საკითხების გადაწყვეტაში ახლებური პოლიტიკური აზროვნების კონცეფციის საფუძველზე. გაცემულია განკარგულებანი მოლაპარაკებაზე მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციის შესახებ.

პოლიტბიურომ მოიწონა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან კ. ფომვიჰანთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ნ. ი. რიჟკოვის მოლაპარაკების შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კ. ფომვიჰანის სამუშაო ვიზიტს სსრ კავშირსა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება-განვითარებისათვის ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების ინტერესების სასიკეთოდ.

მოწონებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. ვოროტნიკოვის ვიზიტის შედეგები. როგორც აღინიშნა, ფედერალურ კანცლერთან ჰ. კოლთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან გამართულმა შეხვედრებმა და საუბრებმა დაადასტურა, რომ არსებობს დიდი პოტენციური შესაძლებლობანი ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ფართო განვითარებისათვის, კერძოდ, სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხარეებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ხაზით.

მოისმინეს ე. ა. შევარდნაძის ინფორმაცია ამერიკის ხელმძღვანელობასთან გამართული მოლაპარაკების, შეერთებული შტატების წამყვან პოლიტიკურ მოღვაწეებთან, აგრეთვე მთელი რიგი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრების შესახებ, რომლებიც მოეწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ე. ა. შევარდნაძის ყოფნის დროს.

ამასთან დადასტურდა საბჭოთა ხელმძღვანელობის განზრახვა კვლავაც წარმართოს საქმე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების სტაბილურობის, საიმედოობისა და პროდუქტიულობის განსამტკიცებლად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გასავითარებლად.

განიხილა რა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ა. პ. ბირიუკოვას სამუშაო ვიზიტის შედეგები, პოლიტბიურომ აღნიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის გამოცდილების გამართული გაზიარების სარგებლიანობა. გაცემულია განკარგულებანი ამ სფეროში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან თანამოქმედების გაღრმავების შესახებ.

სხდომაზე განიხილეს ინფორმაცია ინდოეთში დ. ტ. იაზოვის ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ. მოწონებულია ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან რ. ვენკატარამანთან და პრემიერ-მინისტრ რ. განდისთან დ. ტ. იაზოვის შეხვედრების, აგრეთვე თავდაცვის მინისტრთან კ. ჩ. პანტთან მისი მოლაპარაკების შედეგები, რომელთა დროს დადასტურდა ორმხრივი მისწრაფება კიდევ უფრო განავითარონ სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობა, გააფართოონ მათი თანამოქმედება საერთაშორისო საქმეებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ძირეული გაუმჯობესება დღევანდელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მისი გადაწყვეტის გადაუდებელი ღონისძიებანი მწვავე განხილვის საგანი გახდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. აღინიშნა, რომ მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რადიკალური ცვლილებები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქმიანობაში არ ხდება. ადგილებზე არის შეფერხება საკმარისად არსებული საქონლის გაყიდვაში. მოსახლეობა დიდ დროს კარგავს საყიდლებზე რიგში დგომის დროს. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმოს მუშაობის რეჟიმი არ არის მოსახერხებელი მყიდველებისათვის.

ვაჭრობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის სერიოზული მიზეზი გახდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ჩამორჩენა. ნელა ინერგება ახალი სამეურნეო მექანიზმი, სავაჭრო საწარმოთა საქმიანობა კვლავინდებურად მეტისმეტად არის რეგლამენტირებული. გარდაქმნის ამოცანებს არ შეესაბამება კადრებთან მუშაობის დონე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, სავაჭრო ქსელის მქონე უწყება-სამინისტროებს დაავალა უკვე უახლოეს ხანს უზრუნველყონ რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონის ამაღლება, დაამყარონ წესრიგი სავაჭრო საწარმოთა მუშაობაში.

მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე ნავარაუდევია დამთავრდეს მაღაზიების გადაყვანა თვითმომსახურების მეთოდით მუშაობასა და საქონლის გაყიდვის სხვა პროგრესულ ფორმებზე. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის რეჟიმი უნდა დგინდებოდეს მოსახლეობის სურვილის შესაბამისად და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. იქ, სადაც აუცილებელია, მუშაობა უნდა იწყებოდეს 6-7 საათზე და მთავრდებოდეს 21-23 საათზე. საჭიროა დაინერგოს აგრეთვე საწარმოთა მუშაობის ცვლა-ნახევრიანი და ორცვლიანი რეჟიმი, სადილობის შესვენებაზე დაუხურავად. ყველგან შეიქმნას მორიგე მაღაზიების ქსელი, გამოირიცხოს ფაქტები, როდესაც მაღაზია იხურება სამუშაო საათებში ინვენტარიზაციის მოსაწყობად და საქონლის მისაღებად. გაფართოვდება პრაქტიკა, როდესაც საყოველთაო მოთხოვნილების საქონლის გასაყიდად სახელშეკრულებო საფუძველზე მოიწვევენ კოოპერატივებს, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდობას სამუშაოსა და სწავლისაგან თავისუფალ დროს, აგრეთვე დიასახლისებსა და პენსიონერებს — საოჯახო სავაჭროების მეშვეობით.

ჩვენი რესპუბლიკისათვის აქტუალურია დასახლებული პუნქტების სანიტარიული დაწმენდა-დასუფთავების გაუმჯობესებისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების საწარმოო სიმძლავრეთა განვითარების საკითხიც, რომელიც პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა არასაკმარისად იქნა მიჩნეული.

რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცა გაითვალისწინოს 1989 წლის გეგმით საჭირო კაპიტალური დაბანდების გამოყოფა, რათა დამთავრდეს კასპის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მშენებლობა, ხოლო კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსა და მშენებლობის სამინისტროს — უზრუნველყონ მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა გაისად. მიმდინარე წლის დამლევამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად უნდა იქნეს წარმოდგენილი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სანიტარიული დაწმენდა-დასუფთავების კომპლექსური სქემის პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების სიმძლავრეთა განვითარებას 2000 წლამდე შესაბამისი ქარხნების მშენებლობის კონკრეტული პროგრამით. გათვალისწინებულია აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც დააჩქარებენ თბილისის ნაგავსაწვავი ქარხნის რეკონსტრუქციისა და ქუთაისის ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაჩქარებას. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაევალა უკვე მიმდინარე წლის ოქტომბრამდე დაამთავროს ქ. თბილისის გლდანის რაიონის ნაგავგადასამუშავებელი ქარხნის შენობის რემონტი საწარმოში ტექნოლოგიური რეჟიმის აღსადგენად.

განიხილა რა რკინიგზის ვაგონების განტვირთვის მდგომარეობის საკითხი, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობის მრავალგზის გაფრთხილებისა და მითითების მიუხედავად, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა და მშენებლობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყვეს მიმდინარე წლის სექტემბერში რკინიგზების ვაგონების დროული განტვირთვა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში. არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა არც ოქტომბრის პირველ დღეებში.

ამ მუშაობისადმი კონტროლის შესუსტებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ვაგონების არამწარმოებლური მოცდენა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. გაბაშვილი მკაცრად არის გაფრთხილებული.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს დაევალა განიხილოს იმ ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ვაგონების მოცდენაში.

მიღებულია ზომები დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებში დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახალხო-სამეურნეო საკითხები.

(საქინფორმი).

პრობლემები ერთად უნდა გადავჭრათ

მიმწოდებელთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობამ, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ჩავარდნებმა და სხვა მსგავსმა მიზეზებმა არამც და არამც არ უნდა დაასვან დაღი ზამთრისათვის რესპუბლიკის მომზადების დონეს. ამავე დროს, როგორც შეშფოთებით აღინიშნა, სათბობით, ელექტრო და სითბური ენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხის განხილვისადმი მიძღვნილ თათბირზე, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა, ამჟამად სწორედ ასეთი ტენდენცია შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის მუშაობაში.

ამ კომპლექსის რიტმულ ფუნქციონირებაში წამყვანი როლი ეკუთვნის სათბობსახკომს. ამჟამად შექმნილ არახელსაყრელ ვითარებაში ამ ახლახან ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას მეტი ოპერატიულობა და მანევრულობა მართებს პრობლემების გადასაჭრელად. ამავე დროს, აქ ეძებენ ეგრეთ წოდებულ ობიექტურ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ რესპუბლიკის უზრუნველყოფას ჯეროვანი რაოდენობისა და ასორტიმენტის ნავთობპროდუქტებით.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთკავშირსა და შეთანხმებას მომიჯნავეების, მათ შორის, სათბობსახკომსა და ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში. რკინიგზის მისამართით შეიძლება ბევრი სამართლიანი საყვედური და პრეტენზია გამოითქვას, მაგრამ წუწუნით საქმეს ვერ უშველი. საჭიროა ერთად ვეძებოთ იმ საკითხთა გადაწყვეტის გზები, რომელთა შორის დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვანია ვაგონების დროული განტვირთვა. თხევადი სათბობით სავსე რამდენიმე ასეული ცისტერნა დაგროვდა ამჟამად რესპუბლიკის რკინიგზებზე. მაგალითად, კვირაზე მეტია, ლანჩხუთში ჩამომდგარია მიტოვებული შემადგენლობა. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც რესპუბლიკა ნავთობპროდუქტების ნაკლებობას განიცდის.

თათბირზე განიხილეს ცაგერის, შუახევის, ხელვაჩაურის რაიონებში ზამთრისათვის მზადების საკითხები. თუ ხელვაჩაურელებმა დროულად მოიმარაგეს ყოველივე საჭირო, ცაგერში ჩამორჩენაა მაზუთით უზრუნველყოფის მხრივ, შუახევში კი არ ჰყოფნით ქვანახშირი.

განიხილეს აგრეთვე ზამთრისათვის მზადების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოვლინდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ლითონკონსტრუქციათა ქარხანაში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

(საქინფორმი).

ახალგაზრდული პრესის საერთაშორისო ფესტივალი

მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით

ამ დღეებში მთელ დედამიწის ზურგზე ალბათ ყველაზე მრავალეროვანი ქალაქი გახდა თბილისი. საქართველოს დედაქალაქში ტრადიციულად მცხოვრებ 80 ეროვნების წარმომადგენლებს შეემატნენ ახალგაზრდული პრესის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი, რომლებიც 50-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. 7 ოქტომბერს ისინი საქართველოს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ჟურნალისტებთან ერთად მასპინძლობდნენ რიყის მოედანზე გამართულ საუცხოო საფესტივალო კომპლექსს, რომლის გახსნაზე ყველა მსურველი მოიწვიეს.

ბარაქიანი შემოდგომის ფერებად ელვარებს საფესტივალო კომპლექსი. მას სულ რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, მაგრამ დღესასწაულის მონაწილეთა საზრიანობის მეოხებით აქ წარმოდგენილი ორიგინალური სარეკლამო პროსპექტები, სხვადასხვა გამოცემები დამთვალიერებლებს აცნობს ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს ახალგაზრდობის, ხალხთა ცხოვრებას. კომპლექსის ექსპოზიციას მარჯვედ ეხამება ცადაჭრილი ბუშტები, რომლებზეც წარწერილია „გარდაქმნა", „საჯაროობა", „დაჩქარება".

საქართველოს პავილიონი. აქ თავიანთი „პროდუქცია" გამოუტანიათ გაზეთებს „ახალგაზრდა კომუნისტს", „მოლოდიოჟ გრუზიას", „ნორჩ ლენინელს", ჟურნალებს „დილას", „პიონერს" და „ცისკარს". სტუმართა ყურადღებას იპყრობს სიმბოლური ხე სიცოცხლისა. მასზე დამთვალიერებლები ტოვებენ ავტოგრაფებს, სურვილის ბარათებს. გვერდით მხატვრებს თავიანთი „პოპ-არტის" სტილის ნამუშევრების გამოფენა მოუწყვიათ. აქვეა ფოტოსტენდი — ქართველი ოლიმპიელები სეულში.

მოპირდაპირე მხარეს ვხედავთ ყველაზე მასობრივი საბჭოთა ახალგაზრდული გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდას" პავილიონს. მასთან შექმნილმა სოციალური ახალგაზრდული ინიციატივების ფონდმა ერთხელ კიდევ შეახსენა ყველას № 708 ანგარიშის არსებობა. შესასვლელში იღებენ შეწირულობებს პროგრამა „ვალის" რეალიზაციისათვის. ამ ყულაბიდან ყოველი მანეთი ავღანეთში დაჭრილ ინტერნაციონალისტ მეომართა და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობას მოხმარდება.

„კოხტად და შთამბეჭდავად გამოიყურება გაზეთ „კომსომოლეც ზაპოროჟიას" ნომრები უკრაინის პავილიონში. სტუმრებს ალბათ აზრადაც კი არ მოსდით, რომ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაზაკი, რომელიც მათ პავილიონში ეპატიჟება, ამ გაზეთის რედაქტორი ანატოლი პივნენკოა. ამ ჩინებულ ჟურნალისტს არც კომერციული ფხიანობა აკლია.

— აქ გამოტანილი ბუკლეტები, კატალოგები, მაისურები, სხვა ნაწარმი, — ამბობს იგი,— რედაქციასთან შექმნილი შემოქმედებითი სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „კარუსელის" კოლექტივის ნახელავია. ჩვენმა ნავაჭრმა უკვე 18 ათასი მანეთი შეადგინა, ამასთან, ბუნებრივია, არავითარი ზიანი არ მიდგომია ძირითად, ჟურნალისტურ საქმიანობას.

დუდუკის, სალამურის, ეროვნული საკრავების ჰანგები ბელორუსიის პავილიონისაკენ გვიხმობს. მოედანს ეფინება ხალხური სიმღერების მელოდიები, ცეკვავენ და მხიარულობენ ახალგაზრდები...

აი, ფესტივალის საზღვარგარეთელ მონაწილეთა პავილიონებიც. ვრცლად არის წარმოდგენილი ჩეხოსლოვაკიის ბეჭდვითი გამოცემები. ბრატისლავის გაზეთის „მლადი რაზლეტის" რედაქტორი ვიქტორ კუბალი თავის განზრახვას არ მალავს: „უთუოდ მოველაპარაკები თქვენს ახალგაზრდულ გაზეთებს თანამშრომლობის, მასალების გაცვლის შესახებ...".

აფრიკის სამხრეთის განთავისუფლების მებრძოლთა მამაცი ლიდერის ნელსონ მანდელას შესახებ შეახსენებს მნახველს ბოსტვანის, ტანზანიის, ზამბიის ახალგაზრდული პრესის გაერთიანებული ექსპოზიცია. იგი ნათლად გვიჩვენებს, რას შეუძლიათ მიაღწიონ სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ჟურნალისტებმა, თუ გაერთიანებული ძალებით იმოქმედებენ...

კონსტრუქციული დიალოგისათვის მოწვევა გახდა თბილისში ხუთი სადისკუსიო ცენტრის გახსნა, რომელთაგან თითოეულის თემა განსაზღვრავს პაექრობის ტონალობასა და ხასიათს. ერთ-ერთი ცენტრის სხდომა — „ახლებური პოლიტიკური აზროვნება: იდეები და პრაქტიკა" — მიმდინარეობდა პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში. სხდომის გახსნისას საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. რჩეულიშვილმა თქვა, რომ სულ უფრო იზრდება სახალხო დემოკრატიის როლი თანამედროვეობის ყველაზე სერიოზული პრობლემების გადაჭრაში, ორმხრივი ნდობის განმტკიცებაში, ამასთან სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრესა მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერებაში.

განა შეიძლება ვინმემ გაიმარჯვოს ბირთვულ ომში? — სვამს კითხვას წამყვანი.

რა თქმა უნდა, არა, — ეთანხმება მას ბოსტვანელი ჟურნალისტი ოაგენგ მოდიკვა.

— გამალებული ბირთვული შეიარაღება, — ებმება საუბარში ჟურნალ „მიროვაია ეკონომიკა ი მეჟდუნაროდნიე ოტნოშენიას" განყოფილების გამგე ვ. ავაქოვი, — ეს იგივეა, რაც მარულა, რომლის ფინიში უფსკრულის პირას გადის. განა შეიძლება ჟურნალისტებმა ასეთი რამ დაუშვან? არადა, მათ ბევრი რამ შეუძლიათ იღონონ, ჟურნალისტთა დამსახურებაა ისიც, რომ, მაგალითად, წარმატებით წყდება ავღანეთის, კამპუჩიის ირგვლივ შექმნილი პრობლემები.

— მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელსაც ამ ბოლო დროს აყენებენ „მესამე სამყაროს" ქვეყნების წარმომადგენლები, — ამბობს სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ჩელნოკოვი. — ამბობენ, საბჭოთა კავშირი მზად არისო შეურიგდეს კომპრომისს იმპერიალიზმთან, უარი თქვასო სამართლიანი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერაზე.

— მოდით, სიცხადე შევიტანოთ, — დასძენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. იუდინი. — მთელი ჩვენი ისტორია გვარწმუნებს, რომ საქმე სულ სხვაგვარად არის. უბრალოდ დღეს ჩვენ უარს ვამბობთ იდეოლოგიური სქემების ამოჩემებაზე და არა პატრიოტული ძალების პოლიტიკურ მხარდაჭერაზე. სხვა საქმეა იმ ორგანიზაციების სამხედრო დახმარება, რომლებიც ოპოზიციაში უდგანან კანონიერ მთავრობას...

— რას ვშვრებით, ვამტკიცებთ თუ ვშლით მტრის სახეს? — მიმართა დარბაზს ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ნ. პანკინმა.

— გავიდა ის დრო, — უპასუხა ლენინგრადის გაზეთ „სმენას" კორესპონდენტმა ნ. სივახმა, — როდესაც ჩვენი გაზეთები ერთფეროვნად წარმოსახავდნენ შემზარავ „ძია სემს". ეცვლებათ აზროვნების სტერეოტიპები დასავლელ ჟურნალისტებსაც. მაგრამ აქვიატებული ცრურწმენები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველას არ განელებია...

— არგენტინაში ეს ცრურწმენები სულ უფრო ნაკლები რჩება, — გვარწმუნებს ბუენოს-აირესის გამომცემლობა „პროპუესტოს" თანამშრომელი ლილიან მონტერო. — აღარ იგრძნობა მთავრობის წრეების უწინდელი ზემოქმედება, მისწრაფება ყოვლნაირად გააშავონ საბჭოთა კავშირი.

(დასასრული მე-2 გვ.).

ახალგაზრდული პრესის საერთაშორისო ფესტივალი.

ს. კილაძის („კომუნისტი") ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გეგმაც, ვალდებულებაც

მაიაკოვსკის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ხილის დამზადება და სახელმწიფოსთვის მიყიდვა. გეგმით აქ უნდა დაემზადებინათ 2800 ტონა ხილი, ვალდებულებით — 3000 ტონა, ფაქტობრივად უკვე დამზადებულია 3300 ტონამდე. საზოგადოებრივი სექტორის გეგმა 250 ტონას შეადგენდა. აქაც დიდი გადაჭარბებით, 132 პროცენტით შესრულდა სახელმწიფო დავალება — უკვე დამზადებულია 330 ტონა ხილი. ნაყოფიერი შრომით თავი გამოიჩინეს მაიაკოვსკის ლენინის, წითელხევის ფრუნზეს, ამავე სოფლის რუსთაველის, დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა, ვარციხის საბჭოთა მეურნეობამ და სანერგე მეურნეობამ.

ხილის დამზადება გრძელდება.

▼▼

გამოვიდა კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა კრებული „მოქმედების დრო, პრაქტიკული მუშაობის დრო". ბროშურაში შევიდა 1988 წლის 12-16 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის კრასნოიარსკის მხარეში მოგზაურობის მასალები, მისი გამოსვლა მხარის მშრომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ბროშურა დაიბეჭდა „კრასნი პროლეტარის" სტამბაში.

▼▼

ქართველ მებადურთა გამარჯვება

ფოთი. რესპუბლიკის მეთევზეთა კავშირის კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ დღეებში ქართველმა მებადურეებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს: მეთევზეთა კოლმეურნეობების გაერთიანების პრეზიდიუმისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საკავშირო შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობა „კოლხეთს" მიენიჭა მეორე ადგილი და დაჯილდოვდა 4395 მანეთით, მეორე ადგილი მოიპოვა აგრეთვე კოლმეურნეობა „წითელმა მეთევზემ" (ბათუმი) და დაჯილდოვდა 3.750 მანეთით.

ფულადი ჯილდოები ერგოთ მოწინავე სეინერების „სარფისა" და „ალდიას" მამაც ეკიპაჟებს. კოლმეურნე მეთევზეთა კოლექტივებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს — წლის ბოლომდე ასობით ტონა ზეგეგმით თევზი მისცენ ქვეყანას.

▼▼

საკვები საკმაოდ გვექნება

გარდაბანი. რაიონის საკვებმომპოვებლებმა დაამზადეს 85 ათასი ტონა უხეში საკვები, 12 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბალახის ფქვილისა და საკვები ძირხვენების დამზადება.

დავალების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის კარგად გაისარჯნენ თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც ყოველ ჰექტარზე 40 ცენტნერი საკვები ერთეული მიიღეს და რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაისაკუთრეს. დიდძალი საკვების მოყვანით თავი ისახელეს ჯანდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლებმა. კომპლექსმა მოიწია და დაამზადა 22 ათასი ტონა უხეში საკვები, 25 ათასი ტონა სილოსი და რაიონში პირველმა შექმნა საკვების წლინახევრის მარაგი. ამასთან 1,5-ჯერ შემცირა ყოველი ცენტნერი საკვების წარმოების თვითღირებულება.

▼▼

სოციალისტური გამოცდილების ფორუმი

გულახდილ აზრთა გაზიარება მიმდინარეობდა სამი დღის მანძილზე სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის გზების, მსოფლიო ისტორიულ პროცესში სოციალიზმის ადგილის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „თანამედროვე სოციალიზმის განვითარების აქტუალური პრობლემები". მეცნიერთა ფორუმმა, რომელშიც 12 სოციალისტური ქვეყნის საზოგადოებათმცოდნეები მონაწილეობდნენ, მუშაობა დაამთავრა.

დავაჩქაროთ საბინაო მშენებლობის ტემპი

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესიამ განიხილა საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, ბინების განაწილებისას საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხები პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სამლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ თ. კაბისოვის მოხსენებაში და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა ბინების კეთილმოწყობის დონე, უმჯობესდება კომუნალური მეურნეობის სტრუქტურა, ვითარდება საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და რემონტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კიდევ უფრო განვითარდა საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია და ინდივიდუალური მშენებლობა. იზრდება საცხოვრებელი ბინების მშენებლობის მოცულობა სამხრეთ ოსეთის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე.

ამასთან ერთად, საბინაო პროგრამის განხორციელებას აფერხებს ავტონომიური ოლქის სამშენებლო კომპლექსში არსებული ნაკლოვანებანი. საკმარისად არ არის განვითარებული საიჯარო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საბინაო მშენებლობის მსვლელობას საგრძნობლად ართულებს ისიც, რომ მთლიანად არ აწოდებენ სამშენებლო მასალებსა და კონსტრუქციებს. ამის გამო იყო, რომ ცხინვალის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანა მიმდინარე წელს 45 დღეს იყო მოცდენილი და 280 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია გამოუშვა. დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების ხარისხი, ზოგიერთი საცხოვრებელი სახლი ხარვეზებით ბარდება. მთიელთა მიგრაციის შეწყვეტის მიზნით სესიაზე დაისვა მთის სოფლებში ბინებისა და გზების მშენებლობის გაფართოების აუცილებლობის საკითხი.

ორატორებმა გააკრიტიკეს ცალკეული სამინისტროები, უწყებები და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი იმისათვის, რომ ოპერატიულ ღონისძიებებს არ მიმართავენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მთელი რიგი პუნქტების შესრულებისათვის.

სესიის მონაწილეებმა ადგილობრივ საბჭოებს და მათს აღმასკომებს მოსთხოვეს გააძლიერონ პასუხისმგებლობა, აქტიურად გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილებანი პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანის განხორციელებაში: 2000 წლამდე უზრუნველყონ ყოველი ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით.

სესიამ განიხილა აგრეთვე ომისა და შრომის ვეტერანთა გარანტირებული და კომპლექსური სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ორგანიზაციის ღონისძიებანი. (საქინფორმი)

რთველი-88

ყვარლის რაიონის მევენახეებმა წლეულს სახელმწიფო მარაგში სულ 54.000 ტონა ყურძენი უნდა მიიტანონ, 2000 ტონას კი რესპუბლიკის მშრომელებს მიჰყიდიან.

ახლა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრშია რთველი. ამიტომაც არის, რომ ყურძნის კრეფა კარგად არის ორგანიზებული...

მარჯვენას უქებენ სოფელ ჰიკაანის მევენახეებს, რომლებიც ახლა თავიანთი გარჯის ნაყოფს იმკიან. მათ წლეულს გეგმით 6700 ტონა ყურძენი უნდა მოკრიფონ, მაგრამ მეზვრეები 8000 ტონას ვარაუდობენ.

კოლმეურნეობაში ფართოდ არის გაშლილი სართვლო სოციალისტური შეჯიბრება. მისი შედეგები ყოველი დღის ბოლოს ჯამდება. ყურძნის კრეფაში ჯერჯერობით ყველას უსწრებს თალიკო კანდელაკი. იგი ყოველდღიურად 1000 კილოგრამამდე ყურძენს კრეფს.

სურათზე: მოწინავე მკრეფავი თ. კანდელაკი (ზემოთ); კუმში მტევნებით ივსება ავტომანქანის ძარა.

თ. ნიკოლეიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

„ედელვაისის“ კრახი

კავკასიასთან ფაშისტური არმიის განადგურების 45 წლისთავი

...რითად კავალერისტულ ფორმირებებს, წითელი არმიის საარტილერიო და ზურგის ნაწილებს. მარტო 1942 წლის 20 ივლისისათვის კრასნოდარის მხარიდან ზურგში გადაზიდული იყო 10 ათასი ვაგონი პური, გარეკილი იყო 942 ათასზე მეტი სული პირუტყვი, ევაკუირე...

...ლავდებოდნენ საბჭოთა ჯარები.

მთელი აგვისტოს განმავლობაში მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები; სალსკი და არმავირი, მაიკოპი და ტუაფსე, სტავროპოლი და კრასნოდარი, პიატიგორსკი და გროზნო, მდინარეების — დონისა და ყუბანის სანა...

...ბული იყო 6 ათასი ტრაქტორი. ყველა ცდილობდა არაფერი, საბჭოთა ადამიანების ოფლით მონაპოვარი, არ დარჩენოდა ოკუპანტს.

...პირობები ცეცხლის ალში იყო გახვეული. საბჭოთა ჯარებს დროდადრო უწევდათ ბრძოლით დაეხიათ უკან მტრის ჭარბი ძალების წინაშე...

...ღებულობდა სახელწოდებას — „ედელვაისი“. ამრიგად, გერმანიის ფაშისტური არმიის კავკასიის მიმართულებით შეტევის იდეა გულისხმობდა თავდაპირველად გარშემორტყმა და გაენადგურებინა საბჭოთა ჯარები როსტოვის სამხრეთით, ხოლო შემდეგ, შეტევას რომ განავითარებდა, თავისი ძირი...

...ლობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საევაკუაციოდ. პირველ რიგში ხდებოდა ნავთობსარეწი და ნავთობგადასამუშავებელი მოწყობილობის ევაკუაცია.

სოფლის მეურნეობის მშრომელები იღებდნენ მარცვლეულის დიდ მოსავალს. მარცვლეულს გზავნიდნენ სამშობლოს ღრმა ზურგ...

...სტი, პარტიის სამხარეო კომიტეტის 4 მდივანი, 147 რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის მდივანი.

მტკიცდებოდა პოლიტიკური აპარატი ჩვენს ჯარებში. ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯარებში გაგზავნეს 6 ათასზე მეტი კომუნისტი.

...შემადგენლობაში.

მძიმე, დღედაღამ განუწყვეტელი ბრძოლების შემდეგ 9 სექტემბერს ჰიტლერელთა არმიამ მოძლო ნოვოროსიისკის დიდი ნაწილის დაკავება, გარდა ქალაქის აღმოსავლეთი მისადგომებისა. ამასთან ჰიტლერელთა შეტევას, რომელიც 25 სექტემბრამდე გრძელ...

...ბოძოვებულებით დაეწყეს, როგორც სიმბოლო საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტებთან კავკასიაში.

ნ. თავართქილაძე,
საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მეხილეებმა იმარჯვეს

ზესტაფონის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შეასრულეს ხილის დამზადების და სახელმწიფოსთვის მიყიდვის მიმდინარე წლის საგეგმო დავალებები და სოციალისტური ვალდებულება.

ნაცვლად საგეგმო 2000 ტონისა, მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 3000 ტონა ხილი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კვალითის, ბოსლევის, ილმის, წიფლავაკის, მეორე სვირის, ლენინის სახელობის კოლმეურნეობების და არგვეთის საბჭოთა მეურნეობამ, რომლებმაც გათვალისწინებულზე მეტი ხილი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ხილის დამზადება რაიონში წარმატებით გრძელდება.

▼▼

ახალი საამქრო

ქ. ცხინვალის ხორცის პროდუქტებით მომარაგებაში ამიერიდან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ძეხვეულის საამქრო, რომელიც გახსნა სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირმა. საამქროს შეუძლია დღეში გამოუშვას 1,5-2 ტონა ძეხვეული. იგი აღჭურვილია საბჭოური დანადგარებით. მძლავრი სამაცივრო სისტემა, შესაბოლი ღუმელები ყოველგვარი ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისა და ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საშუალებას იძლევა. მას ცეკავშირმა წლის ბოლომდე გამოუყო 100 ტონა ხორცი. ახალგაზრდა კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ინჟინერ-ტექნოლოგი თემურ ბეგიაშვილი, გამართულად მუშაობს. მათ მომხმარებელს უკვე მიაწოდეს სოსის „ივერიის“ პირველი ათეული ტონა. გამოუშვეს შებოლილი ძეხვის „სამონადირეოს“ პირველი პარტია.

სანოემბრო დღესასწაულის შესახვედრად გამოუშვებენ შებოლილ ძეხვ „სერვილადს“ და ლორს.

ნოდარ დუმბაძის 60 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის დაბადების 60 წლისთავის მომწყობი საიუბილეო კომისიის საბოლოო სხდომა.

კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციციშვილმა ილაპარაკა გაწეული მუშაობის შესახებ, სხდომის მონაწილეებს გააცნო საიუბილეო ზეიმის საბოლოო გეგმა. ეს ღონისძიებანი დაიწყება 11 ოქტომბერს მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მთელი რიგი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სტუმართა ჩამოსვლით. მეორე დღეს ზეიმის მონაწილენი გაემგზავრებიან მახარაძეში, სადაც დაიწყება კიდეც ნოდარ დუმბაძის ხსოვნის დღეები. ადგილობრივ კულტურის სახლში გაიმართება მწერლის ხსოვნის საღამო, შემდეგ ზეიმი გაგრძელდება სოფლებში ზენობანსა და ხიდისთავში, სადაც მწერალმა გაატარა ბავშვობა და ყრმობა, აქედან კი იგი გადაინაცვლებს ჩოხატაურსა და ქუთაისში.

ზეიმის მონაწილენი ეწვევიან ნოდარ დუმბაძის მემორიალურ ბინას თბილისში, მის სახლ-მუზეუმს საგურამოში, მივლენ სადღაგვზე საბავშვო ქალაქ „მზიურში“, თბილისის თეატრებში დაესწრებიან მწერლის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს.

ნ. დუმბაძის საიუბილეო საღამო გაიმართება 17 ოქტომბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში, ოქტომბრის დამლევს კი თვალსაჩინო ქართველ მწერალს პატივს მიაგებს მოსკოვი. (საქინფორმი).

მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით

...რანი“ ფესტივალის ერთ-ერთი „ცხელი“ წერტილია. აქ — სადისკუსიო ცენტრში განიხილავდნენ საკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა აქტუალურ პრობლემებს, პრესის როლს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

...ესმით პარტიასაც და ხალხსაც. შემთხვევითი როდია, რომ XIX საკავშირო პარტკონფერენციის ერთ-ერთი რეზოლუცია კონკრეტულად ეძღვნება ეროვნული ურთიერთობის საკითხს.

რაც შეეხება პრესას, რადიოს, ტელევიზიას, როგორ რეაგირებენ...

...რედაქტორი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაგან? რამდენად სრულად გამოხატავს — სოციალისტური პლურალიზმის ფარგლებში — არსებული გამოცემა მოსახლეობის ყველა ფენის, კერძოდ, მცირე სოციალური ჯგუფების აზრს?

დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობამ გამოიტანა ერთსულოვანი დასკვნა: სრული სიმართლე არის ის მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა ჟურნალისტმა...

...თვის.

ხალხმრავალი აუდიტორია შემოიკრიბა სადისკუსიო ცენტრმა „სიტყვის თავისუფლება. როგორ გვესმის იგი“. აქვს კია საზღვრები საჯაროობას? რამდენად დამოუკიდებელია თავის გადაწყვეტილებებში რომელიმე ორგანიზაციის ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთის...

...რთული ფილმის“ ახალგაზრდული გაერთიანების „დებიუტის“ ნამუშევრები.

ფესტივალის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ფოფხაძე და ჯ. ვ. მარგველიძე.

(საქინფორმი)

განათლება: რეფორმის ნაბიჯები

პრესის დღე სამინისტროში

ჟურნალისტებთან თანამშრომლობის კონცეფციას დაუჭირეს მხარი პრესკონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც გაიმართა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში.

— მთელ ჩვენს ერთობლივ მუშაობას, — თქვა რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრმა გ. ნ. ენუქიძემ შეხვედრის გახსნისას, — საფუძვლად უნდა დაედოს დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპები, გამსჭვალული უნდა იყოს საერთო მიზნებით, სკოლის განვითარებით, ერთნაირი დაინტერესების შეგნებით. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არ გვაკმაყოფილებს მისი რეფორმის მიმდინარეობა და ტემპი, განხორციელებულ ღონისძიებათა ენერგია. მაგრამ, ცხოვრება გვასწავლის და მოითხოვს, რომ არა მარტო აღვნიშნოთ და ველოდოთ, არამედ რეალურად მოვახდინოთ გავლენა, დავაჩქაროთ სასწავლებელთა მომწიფებული ცვლილებები.

— რა არის ახალი საკადრო პოლიტიკაში?

— სულ უფრო ხშირად ჩვენი სისტემის მუშაკთა პირად საქმეებში სიტყვა „დანიშნულია“ ადგილს უთმობს სიტყვას „არჩეულია“. ასეთნაირად, მაგალითად, ამ დღეებში გადაწყდება საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, ზოგიერთი ტექნიკუმის დირექტორი. კონკურსი გამოავლენს საშუალო სკოლებში პედაგოგთა ვაკანტური თანამდებობების ყველაზე ღირსეულ კანდიდატურებსაც.

— რა ღონისძიებანი ხორციელდება ქართული ენის და ისტორიის სწავლების სრულყოფის თვალსაზრისით?

— სამინისტროს ამასწინანდელ კოლეგიაზე გავაანალიზეთ ქართული ენის სწავლებისა და შესწავლის საქმის ვითარება, დავსახეთ კონკრეტული პროგრამა ამ მიმართულებით. როგორც მოგეხსენებათ, საშუალო სკოლებში შემოღებულია თბილისის ისტორიის შესწავლა, რაც თავისთავად უკვე საინტერესო და სასარგებლოა. გარდა ამისა, მზადდება საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილის გამოცემა.

პრესკონფერენციის დროს შეეხნენ სხვადასხვა თემას, კერძოდ, ახალგაზრდათა ესთეტიკური, ეკოლოგიური და სექსოლოგიური აღზრდის, გაკვეთილზე ვიდეოტექნიკის გამოყენების, სკოლებში თვითმმართველობის განვითარების საკითხებს... ყველა მათგანს გაეცა გულახდილი და კომპეტენტური პასუხი. ერთი სიტყვით, შეხვედრა საქმიანი და სასარგებლო გამოდგა. სხვათა შორის, ამიერიდან სამინისტროს ხელმძღვანელობა ყოველთვიურად შეხვდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს, გააცნობს მათ, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში.

(საქინფორმი).

წერილი „კომუნისტს"

სიმართლე უნდა ითქვას

ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც ასე დიდი მასშტაბით გამოვლინდა ამ სამი-ოთხი წლის წინათ მახარაძის რაიონში, გულგრილად არ დაუტოვებია რესპუბლიკის არცერთი პატიოსანი მშრომელი; მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს ბოროტება სათავეს იღებდა რაიონის მაშინდელი მესვეურის ო. თენეიშვილის დანაშაულებრივი საქმიანობიდან.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, გაიმართა ო. თენეიშვილის სასამართლო და ღირსეული სასჯელიც მიუზღეს, მაგრამ ფართო საზოგადოება ამის შესახებ ინფორმირებული არ არის.

იქნებ ღირდეს გაზეთი დაუბრუნდეს ამ საკითხს და ვრცლად მოუთხროს მკითხველს თუ რა ხდებოდა მახარაძის რაიონში.

ხ. დარჩია,
პარტიის მახარაძის რაიკომთან არსებული ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე;

ი. დიდმანიძე,
მახარაძის რაიონის კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

რუყნიდა ხორცსა, მერე—სულსა

ეს კაცი მიჩვეული იყო ვრცელ კაბინეტებსა და ხელმძღვანელის სავარძლებს. ახლა კი უმწეოდ იჯდა საბრალდებო სკამზე. დროდადრო ქურდულად შეავლებდა თვალს სასამართლო დარბაზს, აშკარა იყო — იუხერხულებოდა აქ ყოფნა.

რამდენიმე თვის წინ, ერთ სასამართლო პროცესზე, როცა იგი ბადრაგით მოწმედ მოიყვანეს, საჯაროდ თქვა: რომ მცოდნოდა აქ, სასამართლო დარბაზში ხალხის წინაშე უნდა გამოვსულიყავი, უეჭველად თავს მოვიკლავდიო.

მაშინ ეს სინდისის ქენჯნით იყო წარმოთქმული თუ სხვათა სიბრალულის გამოსაწვევად, ძნელი სათქმელია, მაგრამ მის სასამართლო პროცესზე კი არცერთი იგრძნობოდა და არც მეორე. მისი საქციელი უფრო გამომწვევი და უტიფარი იყო — წინასწარ მიცემული ჩვენებების და საერთოდ სიმართლის უარყოფით ცდილობდა ახლა პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენას.

„1986 წლის 7 იანვრიდან 1987 წლის 18 მარტამდე ვიძლეოდი აღიარებით ჩვენებებს და დავადასტურე ყველა იმ პირისაგან ქრთამის აღება, რაც ბრალდებაში მაქვს აღნიშნული, — განაცხადა მან სასამართლოს პირველ სხდომაზე, — სინამდვილეში მე ველოდებოდი ჩემს სასამართლო პროცესს, სადაც ვაპირებდი მეთქვა სიმართლე და ასეც მოვიქეცი. სწორია ის ჩვენებები, რომლებსაც ვაძლევ ჩემს სასამართლოზე".

არა, ეს ჩვენებები სწორი არ იყო. სასამართლომ, ობიექტურ მონაცემებსა და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, სავსებით დაადასტურა ოთარ თენეიშვილის დანაშაული.

მაინც რა ბრალი ედებოდა მას?

ძირეული და სერიოზული ბრალდება ოთარ თენეიშვილისა ის იყო, რომ 1981-1985 წლებში, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს, ქრთამად აიღო 235000 მანეთი და საზღვარგარეთული წარმოების სხვადასხვა ნივთი. (ეს რაც ძიებამ დაადგინა, ხოლო რაც არ დაუდგენია?).

ჩაუფიქრდი მკითხველო, ოთხი-ხუთი წლის მანძილზე პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, რომელიც თავისი ცხოვრებით ზნეობის გაკვეთილს უნდა აძლევდეს რაიონის თითოეულ მშრომელს და იყოს მათი პოლიტიკური ორგანიზატორი, კორუფციის ჭაობში ეფლობა და ერთადერთ მიზნად უპატიოსნო გზით გამდიდრებას მიიჩნევს.

ფულის სისტემატური გამოძალვა თანამდებობის პირებისაგან — მათი დანიშვნის, ადგილზე დატოვებისა და მფარველობისათვის მას ცხოვრების ნორმად ექცა.

სად ხდებოდა ძირითადად ქრთამის აღება და თანხაზე მორიგება? მის სამუშაო ოთახში, იქ სადაც ჩვეულებრივ ყოველდღიურად იბარებდა ხელქვეითებს, აძლევდა სახელმძღვანელო მითითებებს. კიცხავდა მათ თუნდაც მცირეოდენი შეცდომებისათვის, პათოსით მოუწოდებდა მორალური სიწმინდისაკენ(!)

ქრთამის სისტემატური აღების ფაქტები განსაკუთრებით ფიგურირებს მას შემდეგ, რაც ო. თენეიშვილს პარტიის რაიკომის პირველ მდივნად ირჩევენ. ბუნებრივად იბადება კითხვა: ჰქონდა თუ არა ამას წანამძღვრები, ნუთუ ამ ოთხ-ხუთ წელიწადში მოხდა პატიოსანი ადამიანის ასეთი მეტამორფოზა, ან თუ რაიმეში იყო შემჩნეული, როგორ დაწინაურდა ამ პასუხსაგებ პოსტზე?

როგორ დაწინაურდა? მაშინ არავინ იცოდა. ელოდნენ კი პირიქით...

ერთ-ერთ პარტიულ თავყრილობაზე ბრალდებასავით გაისმის მომხსენებლის სიტყვები: როგორ შეიძლება მოვითმინოთ რაიაღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე ისეთი პიროვნება, როგორიც ო. თენეიშვილია.

ასეთ საჯარო განცხადებას ლოგიკურად ო. თენეიშვილის განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ... გადის რამდენიმე თვე და მას რაიკომის პირველ მდივნად აწინაურებენ. რაიონის მშრომელთა გაოცებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ფაქტი უკვე მოხდა და მისი გაანალიზების და კრიტიკული შეფასების უფლება არავისთვის მიუციათ.

სინამდვილეს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდგომ ეფინება ნათელი, როცა ს. ხაბეიშვილის გახმაურებულ სასამართლო პროცესზე ო. თენეიშვილი ბრალდებულისადმი არა მარტო ქრთამის მიცემის ფაქტს ადასტურებს, არამედ ამით თავისი დაუმსახურებელი აღზევების მიზეზსაც ხსნის.

ძნელია ახლა იმის დადგენა თუ როგორ დაწინაურდა იგი რაიაღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე, უფრო ზუსტად, ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად მუშაობისას ვინ „აღმოაჩინა" მასში პირველად ორგანიზატორული ნიჭი და იმედი ჰქონდა, რომ ო. თენეიშვილი რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტზე გამოიყენებდა მას თავის გამოცდილებასთან ერთად, სამაგიეროდ კარგად არის ცნობილი, რომ გენერალური დირექტორობის პერიოდში მიღებული გამოცდილება შესანიშნავად გამოადგა იმაში, რომ კარგად ცოდნოდა ჩაის ფაბრიკებში არსებული ყველა საკომბინაციო ხვრელი და შემდგომში აეძულებინა ამ საწარმოთა დირექტორები რეგულარულად მიეწოდებინათ მისთვის ქრთამი.

და აი, შედიოდა მასთან სამუშაო ოთახში სანდო პიროვნება — ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მაშინდელი გენერალური დირექტორი გ. ბაბილოძე და მიართმევდა ფაბრიკათა დირექტორების ვ. გობრონიძის, თ. გუბელიძის, გ. გოგიბერიძის, რ. ტოტოჩავას, ლ. გირკელიძის, ნ. ხომერიკის, ზ. ქუტიძის და სხვათა მიერ შეგზავნილ ათი ათასობით მანეთს.

ქრთამის არც მიცემას და არც აღებას არავითარი გამართლება არა აქვს, მაგრამ მაინც საინტერესოა გავეცნოთ ჩვენებებს იმის გასაგებად თუ როგორ ხსნიან ფაბრიკათა დირექტორები თავიანთ „შეცოდებებს".

გ. ბაბილოძე (გენერალური დირექტორი): ზ. ქუტიძემ მოიტანა კონვერტში გახვეული და მთხოვა, რომ გადაეცით პირველ მდივანს, კეთილგანწყობილი რომ იყოს ჩემდამი... ამხელა თანამდებობაზე დირექტორად რომ დავჯდე ტყუილად არ დამსვამდა და ეს საჩუქარი გადაეცი ჩემგან სამუშაოზე დანიშვნასთან დაკავშირებითო...

გ. გოგიბერიძე: მე რომ არ მიმეცა ფული დარღვევებისათვის საყვედურს მომცემდნენ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მერე გამანთავისუფლებდნენ... მე ვთვლი, რომ რადგან დღემდე ვმუშაობ ფაბრიკაში, ალბათ ფულმა გაჭრა.

ვ. გობრონიძე: მე ეს თანხები რომ არ მიმეცა, ვერ ვიმუშავებდი იმ ადგილას, სადაც ვმუშაობ, გამათავისუფლებდნენ.

ლ. გირკელიძე: ბაბილოძემ მითხრა, რომ ამ ფულიდან ნახევარი უნდა მიეცა რაიკომის პირველი მდივნისათვის თენეიშვილისთვის, რათა მისგან აუცილებელი იყო მხარდაჭერა მაკონტროლებელი ორგანოებისაგან... (სტილი ყველგან დაცულია).

ისმენთ ამ ჩვენებებს და ფიქრობთ: სად მოიყარა თავი ამდენმა ბოროტმა თანამზრახველმა, რომელთა ყოველდღიური ცხოვრების ნორმა მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრი და ანგარების გზით სკამის შენარჩუნება ყოფილა.

და მაინც, ყველაფრის თავიდათავი იმ კაცის სიხარბეა, რომელიც ფულის გულისთვის არც საკუთარ სახელს უფრთხილდება და არც რაიონის რეპუტაციას. ხარბის ბუნება კი ასეთია — რაც უფრო მეტს იხვეჭს, უფრო დიდი სურვილი ეუფლება და ო. თენეიშვილიც ბოლოს ისე შეტოპავს, რომ უკან დასაბრუნებელი გზაც აღარ რჩება. ამჯერად იგი აბაშის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს გ. ჩიტიას უგზავნის თავის წარმომადგენელს — ვინმე პ. ჟორდანიას და შუამავლებს გადმოვიდეს ამავე თანამდებობაზე მახარაძის რაიონში. ამის საფასურად კი ითხოვს 80.000 მანეთს. ჩარიგება შედგა — გ. ჩიტია ინიშნება აღნიშნულ თანამდებობაზე, ხოლო ო. თენეიშვილი იღებს შეპირებულ თანხას...

ასე იხრწნება მორალური კლიმატი რაიონში, სადაც პარპაშებს დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც სიცრუეს სიმართლედ ასაღებს, ხოლო უკანონობას უმაღლეს სიკეთედ. და ხდება ის, რაც მოსახდენი იყო — ფეხს იკიდებს თაღლითობა და შანტაჟი, პროტექციონიზმი და კორუფცია. მარტო 1985 წელს სხვადასხვა დანაშაულისათვის მახარაძის რაიონში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს 213 მოქალაქე.

ამ პერიოდის ერთ-ერთი გახმაურებული დანაშაულია ე. წ. „ძროხების ოპერაცია". 1983 წლის აპრილში რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ვინმე კუკური ღლონტის მიმართ, რომელიც კომერციულ შუამავლობას ეწეოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ისარგებლა რა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების დოყლაპიობით, ღლონტი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა კოლმეურნეობებთან, აღიჭურვა საბუთით, რომ უფლება ეძლეოდა რესპუბლიკის გარედან შემოეყვანა პირუტყვი. იგი ადგენდა ყალბ დოკუმენტებს და მიითვისა 165661 მანეთი.

ყალთაბანდის ასე დიდხანს დაუსჯელი პარპაში განაპირობა რაიონში გამეფებულმა ატმოსფერომ და პირადად პირველი მდივნის მფარველობამ.

კ. ღლონტის საქმე, მხოლოდ ო. თენეიშვილის დაპატიმრების შემდეგ, 1986 წლის ივნისში განიხილეს და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რაკი პირველი მდივანი ძირითადად ჩაით „ითბობდა ხელს", ბუნებრივია, მისმა ქვეშევრდომებმაც უშრომელი შემოსავლის საშუალებად ეს წყარო აქციეს.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მიწერები და თვალთმაქცობა. სამაგიეროდ, ნაკადულივით მოედინებოდა ფული და ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. ბაბილოძე პირველ მდივანთან ანგარიშსწორებას რომ მორჩებოდა, ახლა ლომის წილს თავისთვის ითხოვდა. ფაბრიკის დირექტორებიც უხვად გასცემდნენ იმას, რის მოპოვებითაც მაინცდამაინც ჯაფა არ დადგომიათ. ასე აიღო სანდო პირებისაგან გ. ბაბილოძემ 106 ათასი მანეთი.

ჩაის ციებ-ცხელებამ მისი უშუალო მწარმოებლებიც შეიპყრო და დანაშაულმა პირდაპირ პლანტაციაში დაიდო სათავე. სოფელ მახარაძის კოლმეურნეობაში მთავარი ეკონომისტის ჟ. სალუქვაძის ინიციატივით დაიწყეს ჩაის ჩაბარებასა და გადაზიდვაზე ყალბი ზედდებულებისა და ქვითრების შედგენა; ამ საქმეში ჩათრეული აღმოჩნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ცერცვაძეც. დამნაშავეებმა მიითვისეს ათიათასობით მანეთი.

როგორც იტყვიან, თევზი თავიდან იხრწნება და მერე სიდამპლე მთელ სხეულზე ვრცელდება. ასე აღმოჩნდა დასნეულებული რაიონში საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა უბანი.

ტრესტ „საქყოფმომსახურების" მახარაძის სამმართველოში მთავარი ბუღალტრის ე. მხატვარისა და საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსის ნ. ბილიხოძის მეთაურობით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც ყალბად თხზავდა სამშენებლო და სანტექნიკური მასალების გაცემის ფაქტურებს, ახდენდა სხვადასხვა სახის ჩამოწერებს, რის შედეგადაც იტაცებდნენ დიდძალ თანხებს.

მერიის ხილკონსერვიანი ღვინის ქარხნის თანამშრომლებმა დაიტაცეს 37.236 მანეთი, მათთან დანაშაულებრივ ქმედობაში იყვნენ ბახვის ხილის დამამზადებელი პუნქტის მუშაკები, რომლებმაც თავის მხრივ 21723 მანეთი მიითვისეს.

არც ტუნგის დამამზადებელნი დარჩნენ გულხელდაკრეფილნი და 27 ათასი მანეთი გაფლანგეს.

არნახული სიხარბე გამოიჩინა სოფელ შრომის შემნახველი სალაროს გამგემ ნ. ქურიძემ, რომელმაც 80 ათასი მანეთი მიითვისა.

რაიონულ ცენტრში იხსნებოდა მაღაზიები და [illegible] ისეთი ობიექტები, რომელთა შეფები იყვნენ ყოვლისშემძლე ადამიანები და სახელმწიფო დაწესებულებებს პირადი გამორჩენის წყაროდ აქცევდნენ.

ბუნებრივია, ამ ვითარებაში და ასეთ მყარ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო მაფიის მსგავსი ორგანიზაციაც და არც მან დააყოვნა. ვინმე შ. დოლიძემ მილიციის მუშაკებს რ. ურუშაძის, ი. ქართველიშვილის, ს. კილაძისა და სხვათა შემადგენლობით თავი მოუყარა თანამზრახველებს, რომელთა მიზანი იყო შანტაჟითა და მუქარით ფულის გამოძალვა.

ყალთაბანდობაზე მრავალგზის ნასამართლევმა მ. ლეთოდიანმა კი იმ პრინციპით, რომ ამღვრეულ წყალში თევზი ადვილი დასაჭერია, მარტო მოქმედება არჩია. დადიოდა კარდაკარ და სძალავდა ფულს იმ პირებს, რომლებმაც არც თუ მართლაც პატიოსანი გზით შეიძინეს ქონება და სიმდიდრე. მ. ლეთოდიანი თავს საქალაქო პროკურატურის წარმომადგენლად ასაღებდა. ამიტომ მექრთამე რაიკომის მდივანი არა მარტო შიშით ძრწოდა მის წინაშე, თვითონ ეძიებდა მეგობრობას, თათბირების დროს პრეზიდიუმში იწვევდა და არც თუ იშვიათად ჩარევდა ხოლმე კადრების საკითხის გადაწყვეტაში. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, მ. ლეთოდიანი ხშირად თვითონ კარნახობდა რაიკომის მდივანს კადრებს და, ცხადია, მათგან დიდ გასამრჯელოს იღებდა.

და რაც მთავარია, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა რაისაბჭოს აღმასკომის მთავარ ბუღალტერს ც. ტუღუშს, რომელმაც ოთხი წლის მანძილზე 76000 მანეთზე მეტი მიითვისა. როცა ც. ტუღუში თავის ბნელ საქმეებს ატარიალებდა, ო. თენეიშვილი აღმასკომის თავმჯდომარე იყო, ხოლო საქმის შესწავლა და სასამართლო რომ დაიწყო, მას უკვე პირველი მდივნის პოსტი ეჭირა.

დასკვნა თვით მკითხველმა გააკეთოს.

გამომძალველების, მექრთამეების, ყალთაბანდებისა და კომბინატორების მომრავლებამ პატიოსან მშრომელთა მშვიდი ცხოვრება კალაპოტიდან ამოაგდო, დაძაბული ატმოსფერო შექმნა, გაძლიერდა შიში და ფსიქოზი.

ასეთი იყო რაიონის ცხოვრების ჭეშმარიტი სურათი. ამ სრულ ქაოსსა და განუკითხაობაში კი ფარავდა მოჩვენებითი წარმატებები, თვალისახვევა და მიწერები, გაბრამავალი ფრაზები და პრემიები. თუმცა დამსახურებას ვერ დავუკარგავთ აქაურ მშრომელებს, რომლებიც თავდადებით და ერთგულად ამრავლებდნენ სახალხო დოვლათს, მიუხედავად ასეთი ვაიხელმძღვანელობისა, მტკიცედ იბრძოდნენ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგია ცდილობდა სრული ობიექტურობითა და ჭეშმარიტების დაცვის ღრმა რწმენით განეხილა ო. თენეიშვილის საქმე, ეპოვა სიმართლის მარცვალი ბრალდებულის ყველა ჩვენებაში, რომლებიც ასე წინააღმდეგობებით იყო სავსე.

მართლაც, ო. თენეიშვილი როდი იძლეოდა ჩამოყალიბებულ და ერთმნიშვნელოვან ჩვენებებს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე იგი აღნიშნავს: „დღეს დავრწმუნდი, რომ პ. ჟორდანია არის ნამუსიანი კაცური კაცი", ცოტა ხნის შემდეგ კი აცხადებს: „მე მოვისმინე მოწმე ჟორდანიას ჩვენება და მას არ ვადასტურებ. მე მიჭირს ავხსნა თუ რატომ ამბობს ჟორდანია თითქოს მან მომიტანა ჩიტიას გამოგზავნილი 80000 მანეთი"... და კატეგორიულად უარყოფს ქრთამის აღების ამ ფაქტს.

ორიოდე დღის შემდეგ, მორიგ სხდომაზე, ო. თენეიშვილი თითქოს სინანულით აღიარებს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩიტიას ვიცნობდი კარგად, ოჯახში ვარ ნამყოფი, ისეთი უსინდისო კაცი ვარ, რომ მაინც გამოვართვი ფული".

სასამართლოს არ გამორჩენია მხედველობიდან არცერთი დეტალი, არცერთი ნიუანსი, არ წაურთმევია ბრალდებულისათვის უფლება — ემართლებინა და დაეცვა თავი თუ კი ამის საფუძველი ჰქონდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ ოთარ თენეიშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა — ქონების კონფისკაციით და სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

სასჯელი შეიძლება უფრო მძიმე ყოფილიყო, რომ სასამართლოს მხედველობაში არ მიეღო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

სასჯელი საკმაოდ მკაცრიც არის და დამსახურებულიც; მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თუ ზნეობრივი თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს, ო. თენეიშვილი, შესაძლოა, ამ შეღავათებს არც კი იმსახურებდა.

ჩვენი მორალის ქვაკუთხედი ოჯახის სიწმინდე და შვილების პატიოსნად აღზრდაა. ადამიანი, რომელსაც ბავშვობა და ყრმობა ძნელბედობასა და ობლობაში გაუტარებია, როგორ უნდა აძლევდეს თავს უფლებას ქრთამად მორთმეული ნივთები არასრულწლოვანი შვილის მეგობარს გაატანოს გასაყიდად, ხოლო იმავე შვილის თვალწინ, ოცდაათი ათასი მანეთი ჩაუთვალოს გაურკვეველი საქმიანობის პირს მოსკოვში უცხოური სუვენირების შესაძენად.

ეს არა მარტო ფუფუნებაა, არამედ გახრწნილებაც, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უთავსდება არც მამობრივ სიყვარულს და არც ზნეობრივ სიწმინდეს.

და კიდევ. როცა კომუნისტთა წინამძღოლი ხარ, ისე არ უნდა დაეცე, რომ შენ საქციელს კონტროლს ვერ უწევდე, ვერ ხედავდე ვინ დგას შენს გვერდით და ვინ გიბიძგებს დანაშაულისკენ; არ უნდა აძლევდე თავს უფლებას ფულის სახელით გაკეთო ყველაფერი — თავსმოხვეული კადრების დანიშვნით დაწყებული და „სუვენირებით" დამთავრებული.

არა, არ შეიძლება ყოველივე ამის მიტევება.

აი, ასეთ ადამიანებზე ითქვა სწორედ სკკპ XXVII ყრილობაზე: „ჩვენ დიდ ზიანს გვაყენებს ის, რომ ზოგიერთი კომუნისტი უღირსად იქცევა, სამარცხვინო საქციელს ჩადის, ბოლო ხანს სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედებისთვის თანამდებობიდან განთავისუფლებულია და პარტიიდან გარიცხა ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი. ზოგიერთი მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა... ამგვარ მოვლენებს, როგორც წესი კადრების შერჩევისა და აღზრდის, მათი საქმიანობისადმი კონტროლის პარტიული პრინციპების დარღვევა წარმოშობს. პარტია კვლავაც გადაჭრით გაწმენდს თავის რიგებს ყველა იმათგან, ვინც სახელს უტეხს კომუნისტის წოდებას".

დიახ, ასეთია პარტიის მოთხოვნა და სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს, რადგან პარტიის მორალური სიჯანსაღე ეს მთელი საზოგადოების, სიჯანსაღის საწინდარია.

• • •

განაჩენის გამოტანიდან ხუთ თვეზე მეტი გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა — გაეცნოს იგი საზოგადოებრიობას პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით, ეს დღემდე არ გაკეთებულა.

მიზეზი? ცხადია ამ ფაქტის მიჩქმალვა არავის უცდია, მაგრამ იმდენად განუზომელია ამ ბოროტმოქმედების მასშტაბი და შედეგები, ისე თვალსაჩინოა თანამდებობის პირის ზნეობრივი დაცემა, ეჭვს აღძრავს — ღირს კი მისი გამომზეურება? რა მაგალითს აძლევს იგი ჩვენს ახალგაზრდობას?

და მაინც გადავწყვიტეთ: სათქმელი უნდა ითქვას, არ შეიძლება ხალხმა არ იცოდეს სიმართლე, რაგინდ მწარე უნდა იყოს იგი.

ჯ. ნადარეიშვილი.

ახალგაზრდობა

ფესვმაგარი ტრადიცია

ქართველ სტუდენტ არქიტექტორთა გამარჯვება საფრანგეთში

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა საფრანგეთიდან: აქ პარიზის თანამგზავრ ქალაქ სერჟი-პონტუაზში გამართულ სტუდენტ არქიტექტორთა საერთაშორისო კონკურსში დიდი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

თამარ კვესიტაძემ, ლევან ლომინაშვილმა, ნინო ჩხეიძემ და გოგა გელაშვილმა კონკურსის ყველა მთავარი პრემია დაისაკუთრეს და თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ფრანგი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრეს.

კონკურსის პირობების მიხედვით სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტი-არქიტექტორები ერთიანდებიან ცალკეულ ინტერნაციონალურ ჯგუფებად და რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებენ პროექტს კონკრეტულ თემაზე. ჩვენი ახალგაზრდები სხვადასხვა ჯგუფებში განაწილდნენ და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათი აქტიური შემოქმედებითი ძალისხმევის შედეგად მიიღეს მათმა ჯგუფებმა ჟიურის უმაღლესი შეფასებები.

ამრიგად, პირველი პრემია და ფულადი ჯილდო მოიპოვეს თამარ კვესიტაძემ და ლევან ლომინაშვილმა; მეორე პრემია და ფულადი ჯილდო წილად ხვდა ნინო ჩხეიძეს; მესამე პრემია კონკურსზე დაწესებული არ ყოფილა. მნიშვნელობით შემდეგი წამახალისებელი პრემია მოიპოვა გოგა გელაშვილმა. ამასთან ეს პრემია მიეკუთვნა არა მთელ ჯგუფს, არამედ მარტო გ. გელაშვილს, მისი საკონკურსო მასალის საუკეთესოდ გადაწყვეტისათვის.

ქართველ სტუდენტ არქიტექტორებს წარსულ წლებში არაერთხელ გაუმარჯვიათ დიდ საერთაშორისო კონკურსებში და ამით დიდი ავტორიტეტი მოუპოვეს ქართულ არქიტექტურულ სკოლას. ქალაქ სერჟის კონკურსში ახლანდელი გამარჯვებაც პირველი არ არის: სწორედ აქ, 1985 წელს გამარჯვებით გაგვახარეს გაგა კიკნაძემ და ლევან მუშკუდიანმა. შემდგომ, 1987 წელს, საფრანგეთში მორიგ წარმატებას მიაღწიეს გიორგი სულაბერიძემ და ირაკლი აბაშიძემ.

ასე რომ, ამ ბოლო წლებში საერთაშორისო კონკურსებზე წარგზავნილი არც ერთი ქართველი სტუდენტი არქიტექტორი უპრემიოდ არ დაბრუნებულა და ამ გამარჯვებებს, შეიძლება ითქვას, ტრადიციული ხასიათი მიეცა. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მასპინძლებმა, ფრანგმა არქიტექტორებმა კარგად გაიცნეს ქართული არქიტექტურული სკოლის შესაძლებლობანი, დამყარდა მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა ქ. სერჟის საზაფხულო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტს შორის.

კონკურსის მომწყობთ — ქ. სერჟის მუნიციპალიტეტს და ქალაქის განვითარების კომიტეტს ფრიად მნიშვნელოვანი და პრაქტიკული მიზანი აქვთ. მათ სურთ ქალაქის სწორი განვითარებისათვის სტუდენტური კონკურსების სერიით მიიღონ სხვადასხვა საინტერესო არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი იდეები და პრაქტიკული წინადადებები.

კონკურსის ორგანიზატორები ნახევარი წლით ადრე მსოფლიოს წამყვან არქიტექტურულ სკოლებს უგზავნიან კონკურსის პროგრამას, სადაც მითითებულია კონკრეტული დასამუშავებელი თემა. შესრულებული პროექტით სტუდენტები ჩადიან ქ. სერჟიში, სადაც ამ ნამუშევრებს განიხილავს სპეციალური ჟიური და ადგენს პრინციპულ საკითხებს. შემდგომ სტუდენტები ერთიანდებიან ცალკეულ ინტერნაციონალურ ჯგუფებად და ამუშავებენ ახალ საკონკურსო დავალებას კონკრეტულ თემაზე, რომელიც ეხება ქ. სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარებითი განვითარების ამა თუ იმ აქტუალურ ასპექტს.

დაახლოებით სამი კვირის მუშაობის შედეგებს აჯამებს ავტორიტეტული ჟიური.

წელს კონკურსის ორგანიზატორებმა ახალგაზრდებს შესთავაზეს თემა: კულტურა, დასვენება. პრინციპი ასეთია: აკეთე, რაც გენებოს. კონკურსი მიზნად ისახავდა ქალაქის არქიტექტურულ-გეგმარებითი მთლიანობის ისეთი საპროექტო ვარიანტების ძიებას, რომელიც გამოარჩევდა ქ. სერჟის პარიზის სხვა თანამგზავრი ქალაქებისაგან. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტისას მოიპოვეს წლევანდელი შთამბეჭდავი გამარჯვება ქართველმა ახალგაზრდებმა.

გარდა სტუდენტებისა, ქ. სერჟის საზაფხულო უნივერსიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ჟიურის წევრი, მიწვეული იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მდივანი, პროფესორი ვახტანგ დავითაია. მან წაიკითხა ლექციების სერია ქართულ და საბჭოთა არქიტექტურის განვითარების შესახებ, ჰქონდა საავტორო გამოსვლები სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე. დიდი წარმატებით სარგებლობდა მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ქალაქებში მოგზაურობს.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ყოველმხრივ შეუწყო ხელი სტუდენტ-არქიტექტორებს კონკურსზე გამგზავრებას სხვადასხვა ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების მოგვარებაში.

ამრიგად, მოპოვებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც აგრძელებს ქართული არქიტექტურული სკოლის ფესვმაგარ ტრადიციებს. ეს ტრადიციები კი იმ ნიჭიერ თაობებს ეყრდნობა, რომლებმაც წარსულში არაერთხელ გაგვახარეს თავიანთი გამარჯვებებით. მხოლოდ **ბოლო ათწლეულში სტუდენტ-არქიტექტორთა დიპლომების საკავშირო კონკურსზე სხვადასხვა ხარისხის პრემია მოიპოვა ქართული არქიტექტურული სკოლის 130-ზე მეტმა წარმომადგენელმა. 1967 წლიდან დღემდე საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა 24 ქართველი ახალგაზრდა, მათ შორის 14 ბოლო ხუთ წელიწადში.**

ამრიგად მშრალი ციფრებითაც კარგად ჩანს, რომ დღეს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი იზრდება და მოღვაწეობს ჩვენს რესპუბლიკაში. ქართველ ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი პოტენციალი არაფრით ჩამოუვარდება ხელოვნების სხვა დარგების პოტენციალს, მაგრამ პრაქტიკული შედეგები საკმაოდ მოკრძალებული გვაქვს, რადგან არქიტექტორული პროექტის რეალიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია ქვეყნის საერთო განვითარებასთან. არქიტექტურაში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დღეს ჩვენს ამ სარკეში ბევრი პრობლემა ჩანს (ბინების მწვავე უკმარისობა, სამშენებლო ინდუსტრიის სუსტი განვითარება, თანამედროვე ტრადიციული სამშენებლო მასალების დეფიციტი, მშენებლობის დაბალი კულტურა და ხარისხი, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, ობიექტების ექსპლოატაციის დაბალი დონე და არქიტექტორის მუშაობის ორგანიზაციის საკითხების მოუგვარებლობა), რომლებიც ცალკე განხილვის საგანია. ეს პრობლემები ძალზე დაბლა წევს არქიტექტურას, როგორც ხელოვნებას, ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში. აქედან გამომდინარე, ჩვენს ხუროთმოძღვრებს უჭირთ თავიანთი იდეების, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია. ეს გაჭირვება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებსაც ეტყობა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს უფრო მეტი საშუალება მიეცემათ თავისი შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ.

თ. მახარაშვილი,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის არქიტექტურული განათლების სექციის თავმჯდომარე, დოცენტი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

დეტალის გაცვეთას ავლენს საპოხი

ხელსაწყოთმშენებელმა სპეციალისტებმა ისწავლეს ნებისმიერი მანქანის მუშაობის საიმედოობის სასწრაფო განსაზღვრა საპოხი ნივთიერების შემადგენლობის მიხედვით.

მექანიზმების მუშაობის დროს დეტალების ხახუნის პროცესში ჩვეულებრივ ხდება მათი გაცვეთა. მაგრამ როგორ უნდა განისაზღვროს ამ მოვლენის დინამიკა მექანიზმის დაუშლელად? აღმოჩნდა, რომ ეს შეიძლება მათი საპოხი ნივთიერების ექსპრესანალიზით. მკვლევარებმა მასში აღმოაჩინეს ლითონის უმცირესი ნაწილაკების მინარევების დასაშვები და სახიფათო კონცენტრაციები, რომლებიც წარმოიშვება დეტალების ხახუნის პროცესში. მათ ისწავლეს მანქანების მუშაობის დროსაც კი საპოხ ნივთიერებაში ასეთი მინარევების შემცველობის განსაზღვრა. ამ მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრის სიახლე და ორიგინალობა დაადასტურა ავტორის მოწმობამ.

▼▼

ახალი პარტნიორი: „ლა რინაშენტე"

საქართველოში დამზადებული ფართო მოხმარების საქონლის, კერამიკული და ხის ნაწარმის, ეროვნული ტანსაცმლის დიდი პარტიის შესყიდვით დაასრულეს თავიანთი ყოფნა ჩვენს რესპუბლიკაში „ფიატის" კონცერნში შემავალი იტალიური სავაჭრო ჯგუფის „ლა რინაშენტეს" წარმომადგენლებმა. ჯგუფს დაგეგმილი აქვს გაისად იტალიაში მოაწყოს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკისა და რეგიონის პროდუქციის პირველი გამოფენა-გაყიდვა.

— იტალიელებს შესაძლებლობა ეძლევათ უფრო ახლოს გაეცნონ საბჭოთა და, კერძოდ, ქართულ კულტურას, — განაცხადა „ლა რინაშენტეს" სავაჭრო ჯგუფის დირექტორთა საბჭოს წევრმა სანდრო პუპამ. — თქვენი პროდუქცია თავისთავადობით და ფანტაზიით გამოირჩევა, მას თვალნათლივ ეტყობა მდიდარი ისტორიული ტრადიცია. იმედი გვაქვს რომ „საქიმპლექსელი" კოლეგების დახმარებით მჭიდრო კავშირურთიერთობას დავამყარებთ რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან. ვფიქრობ, გამოფენა-გაყიდვა წარმატებას მოგვიტანს.

▼▼

საკოლმეურნეო ფონდებიდან

წინათ დანიშნულ პენსიებზე პერსონალური დანამატები მიიღო წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის კიდევ 37 შრომის ვეტერანმა. ამისათვის მეურნეობა სოციალური უზრუნველყოფისა და მატერიალური დახმარების ფონდიდან ყოველწლიურად გაიღებს დაახლოებით რვა ათას მანეთს. ასეთი „ფუფუნების" უფლება კოლმეურნეობას მისცა მეურნეობის გაზრდილი შემოსავლიდან ფონდში დამატებითმა ანარიცხებმა, რომლებმაც შარშან ოთხ მილიონ-ნახევარ მანეთს გადააჭარბა. ახლა სოფლის პენსიონერთა მეოთხედი იღებს პერსონალურ დანამატებს.

გარდა ამისა კოლმეურნეობის გამგეობა საკმაო სახსრებს ხარჯავს იმისათვის, რომ სოფლელებს გაუწიოს ერთდროული ფულადი და მატერიალური დახმარება. მარტო წელს ამ მიზნებისათვის გამოყვეს რვა ათას მანეთზე მეტი. გასცეს დაახლოებით 17 ტონა მარცვლეული და სხვა პროდუქტები.

▼▼

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს ვასილ ილიას ძე კახნიაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
8 ოქტომბერი

◆ გდრ

39-ე წლისთავს მიეძღვნა

ბერლინი. დღეს არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო ის გარემოება, რომ 1949 წლის 7 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ჩვენი ხალხისა და ევროპის ისტორიის შემობრუნების პუნქტი გახდა. ეს განაცხადა ბერლინში გამოსვლისას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ერიხ ჰონეკერმა. იგი გამოვიდა საზეიმო დარბაზობაზე, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ გაუმართეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს რესპუბლიკის შექმნის 39 წლისთავის გამო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის ამასწინანდელ შეხვედრას, რომელიც მ. ს. გორბაჩოვთან ჰქონდა მოსკოვში. მტკიცე მეგობრობითა და სოლიდარობით გაერთიანებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სსრ კავშირი, რომლებიც საგარეო პოლიტიკისა და სოციალისტური მშენებლობის პრინციპულ საკითხებში შეხედულებათა ერთიანობას ემყარებიან, თქვა მან, კვლავაც ითანამშრომლებენ თავიანთი ხალხების საკეთილდღეოდ.

ჩილეს ხალხის გამარჯვება

ჩილეში გამართულმა პლებისციტმა, რომელიც სამხედრო-ფაშისტურმა ხუნტამ მოაწყო, კენჭს იყრიდა რესპუბლიკის პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი — პინოჩეტი. რეჟიმის მეთაურმა, რომელმაც 15 წლის წინათ ხელთ იგდო ძალაუფლება პუტჩის შედეგად, გადაწყვიტა კიდევ 8 წლით გაეგრძელებინა თავისი ყოფნა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, მაგრამ ამავე დროს სურდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში მისი რეჟიმი დემოკრატიული ყოფილიყო.

სწორედ ამ სურვილმა შვა პლებისციტის იდეა, რომელიც 5 ოქტომბერს გაიმართა და დიქტატურისათვის თავზარდამცემი შედეგები მოჰყვა. ხმების დათვლის წინასწარი მონაცემები მოწმობს, რომ პინოჩეტმა მარცხი განიცადა. 7,4 მილიონი ამომრჩევლიდან უმრავლესობამ ხმა მისცა დიქტატორის, მისი რეჟიმის, ანტიხალხური რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

პლებისციტმა მთელი სიცხადით დაადასტურა, რომ ჩილელები გაბედულად გამოდიან ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ, მისი ანტიხალხური, რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ხალხმა დაამარცხა დიქტატურა, მაგრამ მან იცის, რომ მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პინოჩეტი და მისი ხროვა ხელისუფლების სათავეში რჩებიან 1990 წლის მარტამდე. ამიტომ ოპოზიციური ძალები აპირებენ კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ მიღწეული გამარჯვების განსამტკიცებლად.

ფოტოინფორმაცია

◆ ანგოლა

მზრუნველობენ ბავშვებს

განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოსილი ანგოლელი ბავშვები, რომელთაც მშობლები დაკარგეს ბრძოლის ველზე სამხრეთ აფრიკის მხედრიონისა და უნიტას ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათთვის ქვეყანაში გახსნილია საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები, სადაც პატარებს სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები.

სურათზე: ლუანდის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში.

ადნ-საქდესის ფოტო.

● აშშ

ბუში მეტოქეს უსწრებს

სან-ფრანცისკო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატთა კანდიდატის — მასაჩუსეტსის გუბერნატორის მაიკლ დუკაკისის მომხრეებისათვის საგანგაშო სურათი წარმოაჩინა ამომრჩეველთა საერთო-ეროვნულმა გამოკითხვამ, რომელიც მერვინ ფილდის საკვლევმა სამსახურმა მოაწყო. მიღებული მონაცემების თანახმად, რესპუბლიკელთა კანდიდატი — ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მნიშვნელოვნად უსწრებს დუკაკისს 27 შტატში, რომლებსაც პრეზიდენტის ამრჩევთა კოლეგიაში 254 ადგილი აქვთ.

თავის მხრივ, მასაჩუსეტსის გუბერნატორი ლიდერობს მხოლოდ 8 შტატსა და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში, რომლებსაც ამრჩევთა კოლეგიაში 92 ხმა აქვთ. თუ ბუშმა სექტემბრის დამდეგთან შედარებით თავის კონკურენტს კიდევ რვა შტატში გაუსწრო, რამაც თავის აქტივში დამატებით ჩააწერინა ამრჩევთა 98 ხმა, დუკაკისმა პირიქით, მას შემდეგ 40 ხმა „დაჰკარგა".

ეს საინტერესოა

პროგნოზი მიწისძვრის შესახებ

ვაშინგტონი. უახლოეს 20 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში სავსებით შესაძლებელია, მოხდეს ძლიერი მიწისძვრა.

ასეთი პროგნოზი წამოაყენა სამშაბათს გამართულ მიწისძვრების შემთხვევაში ღონისძიებებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე მიწისძვრების შემსწავლელი ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა რობერტ კეტერმა.

იმ რაიონებს შორის, სადაც შესაძლებელია მოხდეს მიწისქვეშა ბიძგები, მან დაასახელა მემფისი (ტენესის შტატი), ჩარლსტონი (სამხრეთ კაროლინას შტატი), ბოსტონი და ნიუ-იორკი. მისი აზრით, დამანგრეველი მიწისძვრის ალბათობა რომელიღაც გარკვეულ რაიონში დიდი არ არის, მაგრამ „მიწისძვრის შესაძლებლობა, რომელიც მოხდება სადღაც ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ 2000 წლამდე, შეადგენს 75-95 პროცენტს, ხოლო 2010 წლამდე პერიოდში — თითქმის 100 პროცენტს".

პოლიციური ქრონიკა

კოკაინი მაიმუნების ფერმაში

მანილა. აი უკვე რამდენიმე წელია ფილიპინის ილოილოს კუნძულზე არსებობს ფერმა, სადაც ზრდიან მაიმუნებს. მისმა მეპატრონეებმა — ამერიკელმა ცოლ-ქმარმა — დაამყარეს კონტაქტები ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და გზავნიან იქ ცოცხალ მაიმუნებს სალაბორატორიო მიზნებისათვის. აღმოჩნდა, რომ მაიმუნების გამრავლება ნიღაბი ყოფილა უფრო დიდი უკანონო ბიზნესისათვის. პოლიციის მიერ ფერმაში მოწყობილი რეიდის დროს აღმოაჩინეს კოკაინის საწარმოო პატარა ქარხანა.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **პეკინი.** როგორც გაზეთი „ჩჟუნგო ცინნიან ბაო" იუწყება, 7 ოქტომბერს შანსის პროვინციის ქ. ლინფინის მახლობლად ავარია შეემთხვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავს. დაიღუპა 42 კაცი. ავარიის მიზეზებს იკვლევენ.

◆ **ნიუ-იორკი.** ოთხი კაცი დაიღუპა ქ. ოტავაში (ილინოისის შტატი) საიარაღო ქარხანაში ხანძრის შედეგად. ცეცხლმა და დენთის აფეთქებამ პრაქტიკულად მთლიანად დაჰქცია საწარმოს შენობა. შემთხვევის ადგილას მოსულმა სახანძრო რაზმმა ვერ შეძლო მაშინვე შედგომოდა ცეცხლის ჩაქრობას. ისინი მოხვდნენ ხროლაში — ცეცხლის ალმა და ბოლში მათკენ ტყვიები მოზუზუნებდა.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ექსპერიმენტულ კამერულ თეატრში

მეორე სეზონი გახსნა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტულმა კამერულმა თეატრმა. სალამოზე აჟღერდა დასავლეთევროპული და რუსული მუსიკის კლასიკის, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

უკანასკნელი აკორდი

გამომცემლობა „ალაშარამ" აფხაზურ ენაზე გამოსცა 30-იან წლებში რეპრესირებული აფხაზი პოეტის შალვა წვიჟბას სიკვდილისშემდგომი წიგნი „პოეტის ბედი". წიგნშია ამავე სახელწოდების პოემა, რომელსაც ავტორი მრავალი წლის მანძილზე თხზავდა სამშობლოსგან მოშორებით. მანვე მოამზადა წიგნი დასაბეჭდად, მაგრამ ვერ მოესწრო მის გამოქვეყნებას.

თავდადებულის დაბრუნება

მთამომავლობა პატივს მიაგებს თევდორე მღვდელს, იძულებით რომ უმეგზურა 1609 წელს ქართლში შემოჭრილი თურქებისა და ყირიმელი თათრების გაერთიანებულ ლაშქარს და თავისი მოწამებრივი სიკვდილით სამშობლოს განსაცდელი ააცილა. ამ დღეებში კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში აღიმარ-...

• • •

სურათზე: თევდორე თავდადებულის ბიუსტი.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

სპორტის ამბები

ზედიზედ მეორედ

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მყარი სადებიუტო რეპერტუარი

ჩიბურდანიძემ მეექვსე პარტიაში უკვე მესამედ მიმართა შავებით ამ დასაწყისს. რახან მეორე და მეოთხე პარტიებში იგი ძნელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ახლა, გასაგებია, შეცვალა დაცვის სქემა. მეთექვსმეტე სვლამდე ყველაფერი ისევე ვითარდებოდა, როგორც მეოთხე შეხვედრაში, ახლა კი ჩემპიონმა გაცვალა ცენტრალური პაიკი და შავუჯროვანი კუ უმნიშვნელოვანეს დიაგონალზე განალაგა. თამაშის ხასიათი მკვეთრად შეიცვალა. იოსელიანი კვლავინდებურად, როგორც ეს ესპანური პარტიისათვის არის დამახასიათებელი, შეეცადა აქტიურად ეთამაშა მეფის ფრთაზე, მაგრამ შავი ფიგურების კარგი განლაგების გამო აქედან არაფერი გამოვიდა. მართალია, ჩემპიონის ბანაკში ცენტრალური პაიკი იზოლირებული იყო, მაგრამ ამას შექმნილ პოზიციაში არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა. დოქტორი ზიგბერტ ტარაში XX საუკუნის დასაწყისში წერდა: „ვისაც ეშინია საკუთარ ბანაკში იზოლირებული ...

... ნაცვლა, სადაც ჯერ თითო ეტლი გაიცვალა, შემდეგ ლაზიერებიც. ამით წონასწორობა არ დარღვეულა. პარტია საყაიმო პოზიციაში გადაიდო.

მართლაც, ბრძოლის განახლებისას, 47-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 3:3. მეტად თავისებური ფაქტია, რომ პირველ ექვს პარტიაში სულ ორი დებიუტი შეგვხვდა: კარო-კანის დაცვა და ესპანური პარტია. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტოქეები მტკიცედ დაადგნენ იმ გზას, რომელიც ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისამდე აირჩიეს.

მეექვსე პარტია

იოსელიანი — ჩიბურდანიძე

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0-0 9. h3 კe6 10. d4 კ:b3 11. ლ:b3 ეe8 12. მbd2 ed 13. cd მa5 14. ლd1 c5 15. მf1 კf8 16. მg3 cd 17. მ:d4 g6 18. კf4 ლb6 19. ეc1 კg7 20. მf3 მc4 21. b3 მe5 22. ეc2 მ:f3+ 23. ლ:f3 ეac8 24. ეec1 ე:c2 25. ...

სატურნირო ორბიტა

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

მდიდარი შთაბეჭდილებებით

კვირა, 9 ოქტომბერი

თბილისი

მოსკოვი



КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434